Partnership for Good Governance
პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE
ევროპის საბჭო

ადამიანის უფლებები და ჯანდაცვა საქართველოს ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში II

საინფორმაციო ბიულეტენი
მაისი - ივნისი, 2017

სასჯელაღსრულების დაწესებულებათა 150-ზე მეტი თანამშრომელი გადამზადდა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პატიმრების მართვის საკითხებზე

ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის ორგანიზებით, 26 ივნისიდან 3 ივლისის პერიოდში, პენიტენციური სისტემის სამედიცინო და არასამედიცინო თანამშრომლებისთვის ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პატიმრების მართვის საკითხებზე 7 ტრენინგი ჩატარდა. სულ ტრენინგებში მონაწილეობდა 150-ზე მეტი თანამშრომელი, დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველოს დაწესებულებებიდან.

მონაწილეებმა გაიღრმავეს ცოდნა ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე, რომელთა შორის აღსანიშნავია ფსიქიკური პრობლემების მქონე პატიმართა მდგომარეობის შეფასება და მკურნალობა, სამედიცინო შემოწმება ციხეში მიღებისას, ფსიქიატრიული ჯანდაცვა და მკურნალობის გეგმები, თერაპიული და ფსიქო-სარეაბილიტაციო აქტივობები დაწესებულებებში.

იხილეთ მეტი ...

განვაგრძობთ დროებითი მოთავსების იზოლატორების თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვას

განვაგრძობთ შინაგან საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერას დროებითი მოთავსების იზოლატორების თანამშრომელთათვის დისტანციური სწავლების პროგრამის შემუშავებაში.
16-17 მაისს ევროპის საბჭოს საერთაშორისო ექსპერტი მონაწილეობდა 2 დღიანი სამუშაო ჯგუფის შეხვედრაში, რათა განეხილა და შეეფასებინა თუ როგორ თანხვედრაშია პოლიციის აკადემიის მიერ დროებითი დაკავების იზოლატორებში მომუშავე თანამშრომლებისთვის შემუშავებული სასწავლო პროგრამა ევროპულ სტანდარტებთან და სწავლების საუკეთესო პრაქტიკასთან.

იხილეთ მეტი ...

კრიზისული სიტუაციების უკეთესი მენეჯმენტი საქართველოს ციხეებში

1-2 მაისს ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის ორგანიზებით საქართველოს ციხეებში კრიზისული ინტერვენციის შემოღების შესახებ სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გაიმართა. სამუშაო შეხვედრა იმ დახმარების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, რასაც ევროპის საბჭო საქართველოს ხელისუფლების ორგანოებს პენიტენციურ სისტემაში კრიზისული ინტერვენციის დამკვიდრებისათვის უწევს.

მოცემული პროცესი მოკლე საინფორმაციო დოკუმენტის შემუშავებით დაიწყო, რომელიც ციხეებში კრიზისული ინტერვენციის შესაძლო მოდელებს აღწერდა.

იხილეთ მეტი ...

სპეციალური პროგრამა ფსიქიატრიული ექთნებისთვის

მხარს ვუჭერთ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ფსიქიატრიული ექთნების გადამზადებაში. ტრენინგები ეფუძნება პროგრამას, რომელიც ევროსაბჭოს საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტებმა პირველად საქართველოსთვის შეიმუშავეს. აღნიშნული თორმეტ დღიანი სასწავლო პროგრამა მიზნად ისახავს ექთნების გადამზაებას ციხეებში ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხებზე და მათი თეორიული ცოდნით აღჭურვას. პროგრამა თორმეტი მოდულისგან შედგება და ორ ეტაპს მოიცავს: პირველი ეტაპი (ექვსდღიანი ტრენინგი) ივნისის თვეში გაიმართა, ხოლო მეორე ეტაპის ჩატარება ივლისის თვეში იგეგმება.

იხილეთ მეტი ...

ფსიქო-სოციალური პროექტის " ნაბიჯი ცვლილებისკენ" იმპლემენტაცია

ევროპის საბჭო და ევროკავშირი დახმარებას უწევდა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ფსიქო-სოციალური პროგრამის "ნაბიჯი ცვლილებისკენ" განხორციელებაში. პროგრამა შემუშავდა და შესრულდა ,""წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრის"" მიერ.

""ნაბიჯი ცვლილებისკენ"" 6 თვის მანძილზე მიმდინარეობდა და სხვადასხვა სახის ტრენინგებსა და სამუშაო შეხვედრებს მოიცავდა.

იხილეთ მეტი ...

ჯანდაცვის ხარისხის კონტროლის გაუმჯობესება ციხეებში

ვაგრძელებთ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ხელშეწყობას, ციხეებში ხარისხის კონტროლის გაუმჯობესების მიზნით. აღნიშნული პროცესის ფარგლებში ევროსაბჭოს ექსპერტმა დაიწყო სამოქმედო გეგმის, ხარისხის მართვისა და მექანიზმების შემუშავება დაიწყო. ეს გახლავთ ევროპის საბჭოს კონსულტანტის მიერ შემუშავებული კონცეფციისა და სახელმძღვანელოს შემდგომი ეტაპი. აქტივობების მესამე ფაზა მოიცავდა 3-4 ივნისს გამართულ სამუშაო ჯგუფის შეხვედრას, სადაც ხარისხის კონტროლის, სამოქმედო გეგმისა და საბიუჯეტო საკითხები განიხილეს.

იხილეთ მეტი ...

ვმუშაობთ ერთად ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და სამართლის უზენაესობის გასაუმჯობესებლად!